

## მომსახურების წესები და პირობები

### 1. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე რეგულაციებით გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

**მიმწოდებელი** - შპს „გიბლექ“ (ს/კ: 406206494), რომელიც ახორციელებს მომხმარებლისათვის პროდუქციის შეთავაზებას და რეალიზაციას ანაზღაურების სანაცვლოდ.

**მომხმარებელი** - ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი ან კანონმდებლობით რეგისტრირებული იურიდიული პირი, შპს, ს.პ.ს, კ.ს, ს.ს, კოოპერატივი, ამხანაგობა, ინდივიდუალური მეწარმე.

**კომპანიის ოფიციალური ვებგვერდი** - შპს „ყველაფერი“ ვებგვერდი

მის: [www.On-Shop.ge](http://www.On-Shop.ge)

**მომხმარებლის პირადი პროფილი/პორტალი** - მიმწოდებლის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული და მომხმარებლის მიერ პირადი მონაცემების საფუძველზე რეგისტრირებული პროფილი/პორტალი, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელი ახორციელებს სასურველი ნივთის შეძენას.

**ნივთის ნასყიდობის (შესყიდვის) პირობები** - მიმწოდებელი პირთან აკეთებს შეთავაზებას (ფასის გამოცხადება) ნივთზე, რომლის შეძენაც შესაძლებელია ნაღდი, უნაღდო და განვადებით ნასყიდობის შემთხვევაში.

**ნაღდი ანგარიშსწორებით შესყიდვა** - ნაღდი ანგარიშსწორებით ნივთის შეძენა შესაძლებელია მყიდველის მიერ მოთხოვნილ, საქართველოს მასშტაბით სასურველ მისამართზე მიტანის დროს, თანხის ადგილზე (კურიერთან) გადახდის გზით. ხოლო მყიდველი ვალდებულია ნივთის მისამართზე მიტანის დროს ნივთის საფასური ნაღდი ანგარიშსწორებით სრულად მოახდინოს გადახდა.

**კომპანია შპს "გიბლექ" ს/კ: 406206494 ვებგვერდი: [www.On-Shop.ge](http://www.On-Shop.ge)**

ვალდებულია ნაღდი ანგარიშსწორების ანუ კურიერთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორების დროს, კურიერი უზრუნველყოს შესაბამისი დოკუმენტაციით და ყველა საჭირო საბუთით.

კომპანიამ გაატანოს კურიერს, მომხმარებლის მიერ შეძენილი ნივთის ჩეკი ან ჩ.გ.დ. (განმარტება: ჩეკთან გათანაბრებული საბუთი)

ნაღდი ანგარიშსწორებით შესყიდვის ანუ კურიერთან გადახდის გზით.

თანხობრივი შეზღუდვა -

მინ.ნივთის ღირებულება: 50 ლარი

მაქს.ნივთის ღირებულება: 1,000 ლარი.

უნაღდო ანგარიშსწორებით შესყიდვა - უნაღდო ანგარიშსწორებით ნივთის შეძენა შესაძლებელია მიმწოდებლის ინტერნეტ მაღაზიაში, ელექტრონულად - ვებგვერდის მეშვეობით.

ვებგვერდის მეშვეობით ნივთის შეძენის შემთხვევაში, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ნივთის ადგილზე მიწოდებას სრულიად საქართველოს მასშტაბით!.

**ადგილზე მიწოდების პირობები და საფასური:**

ადგილზე მიწოდების საფასური გახლავთ ინდივიდუალური და დგინდება ფასი ინდივიდუალურად,

**საფასური დგინდება შემდეგი სააზრით:**

ნივთის წონის ან მოცულობითი წონის მიხედვით. ხოლო ნივთის მიწოდების საფასურის გაგება შესაძლებელია ნებისმიერი პიროვნებისათვის, ჩვენს საკონტაქტო ნომრებზე დაკავშირებით ან ონლაინ ჩატში მოწერით.

**ჩვენი საკონტაქტო ნომრებია:**

**☎ (032) 2 060 226 ; 568 704-730**

**ვებგვერდით სარგებლობის წესები და პირობები** - მომხმარებლის მიერ კომპანიის ვებგვერდზე განთავსებული აქტები, წესები და პირობები.

**უსაფრთხოების პირობები** - ყველა ის პირობა, რომელიც ემსახურება მიმწოდებლის მონაცემებისა და მის საკუთრებაში არსებული ნივთის დაცვას. ასევე პირობები, რომლებიც განსაზღვრავს კომპანიის მიერ მომსახურების გაწევის უზრუნველსაყოფად მომხმარებლის მიერ მიწოდებული მონაცემებისან/და კომპანიის მიერ განვადებით ნასყიდობის დადასტურებისთვის მომხმარებლის შესახებ მოძიებული ინფორმაციისან/და სხვა სახის ინფორმაციის გამოყენებისა და დაცვის პირობებს, რომელთაც მომხმარებელი ეთანხმება კომპანიის ვებგვერდზე რეგისტრაციის გზით.

**ნივთის დაბრუნება/გადაცვლა/შეკეთება** - მომხმარებლის მიერ შეძენილი ნივთი, რომლის დაბრუნება ხორციელდება ნაკლოვანი ნივთისთვის დადგენილ საგარანტიო პერიოდში და რომლის ნაკლიც გამოწვეული არ არის ამ უკანასკნელის არა დანიშნულებისამებრ გამოყენებით, შემთხვევით დაზიანებით, გამოყენებისათვის საჭირო ინსტრუქციის არასწორად მოხმარებით. ნივთის შეკეთება - ნივთის საგარანტიო ვადაში გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზი, რომლის აღმოფხვრაც შესაძლებელია ამ უკანასკნელის შეკეთებით.

ჩვენს ონლაინ მაღაზიაში შეძენილ ნებისმიერ ნივთს მოყვება თავისი საგარანტიო ტალონი რომელიც მოქმედებს საგარანტიო ტალონზე დატანილ მისამართებზე. რომელიც მოწოდებულია ოფიციალური მიმწოდებლისაგან.

## 2. ვებგვერდზე რეგისტრაცია

2.1 მომხმარებელი კომპანიის ვებგვერდზე რეგისტრაციით ან ავტორიზაციით ადასტურებს, რომ წაიკითხა და ეთანხმება „ვებგვერდით სარგებლობის წესებსა და პირობებს“, „უსაფრთხოების წესებსა და პირობებს“ და სხვა ყველა იმ რეგულაციებს რაც მიმწოდებელს აქვს გამოქვეყნებული ოფიციალურ ვებგვერდზე -

[www.On-Shop.ge](http://www.On-Shop.ge) შემდგომში - “წესები“. თუ მომხმარებელი არ ეთანხმება ამ წესებით დადგენილ შეზღუდვებს, მიმწოდებლის თხოვნაა არ დარეგისტრირდეს და არ გაიაროს ავტორიზაცია ან რეგისტრაცია ვებგვერდზე და სასურველი ნივთი შეიძინოს მიმწოდებლისგან საიტზე გამოქვეყნებულ საკონტაქტო ნომერზე დაკავშირებით.

2.2 მიმწოდებლის მიერ გამოქვეყნებული ნივთის ფასი შესაძლებელია შეცვალოს ნებისმიერ დროს. ამდენად, მომხმარებლის მიერ მხოლოდ სასურველ ნივთებში დამატება ვერ უზრუნველყოფს ფასის ცვლილების შეჩერებას. მომხმარებელი მომსახურების შეცვლილ პირობებს ეთანხმება კომპანიის ვებგვერდზე ავტორიზაციის გავლის გზით, ხოლო თუ ცვლილება ეხება ნივთის ღირებულებას, რომელიც შეძენილი არ არის, მომხმარებელს თავისი სურვილით შეუძლია ან შეიძინოს ნივთი ან გააუქმოს შეკვეთა.

2.3 მიმწოდებლის მიერ გამოქვეყნებული ცვლილებები არ გავრცელდება უკვე არსებულ ვალდებულებებზე.

2.4 საიტზე რეგისტრაცია - ვებგვერდზე რეგისტრაციისთვის მომხმარებელს, რეგისტრაციისთვის განუთვნილ ველში შეყავს:

### საკონტაქტო ინფორმაცია

- მომხმარებლის ტიპი (ფიზიკური პირი, ინდ.მეწარმე, შპს, სპს, სს, კს, კოოპერატივი, ს.ს.ი.პ.)
- სახელი და გვარი
- პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი
- საბუთის ნომერი (ე.გ სერიული ნომერი)
- საკონტაქტო მობილური
- E-mail (ელ-ფოსტა)

### შეკვეთის მიწოდების ადგილი

- მიმღების სახელი გვარი
- საკონტაქტო მობილური
- ქალაქი
- მიწოდების მისამართი

მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში აქვს შესაძლებლობა გაიაროს რეგისტრაცია სოციალური ქსელის მეშვეობით ე.გ (Facebook ან Google) აკაუნტების მეშვეობით ან და უკვე რეგისტრირებული მომხმარებელი აქვს შესაძლებლობა რომ თავის ანაგარიშს მიაბას (Facebook და Google) აკაუნტები.

2.5. დაუშვებელია, მომხმარებლისმიერ ვებგვერდზე განხორციელებული ისეთი ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის ვებგვერდის ან/და მომსახურების ნორმალურ მიწოდებას, ან ეწინააღმდეგება კანონსა და წინამდებარე რეგულაციებს.

2.6. მომხმარებლის მიერ რეგისტრაციისას სხვა პირის საბანკო ბარათით ან პირადი მონაცემებით რეგისტრაციისას ან საქონლის შეძენისას, შემძენზე გადადის ის სისხლის

სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც სხვისი პირადი მონაცემებისა და საბანკო ბარათით სარგებლობისათვის არის გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. მიმწოდებელი იტოვებს უფლებას გადასცეს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს სრული ინფორმაცია პირის მიერ საქონლის შეძენის ან სხვა ოპერაციების თაობაზე.

2.7. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომხმარებლის პერსონალური მონაცემები დაცული იქნება სრულად.

### 3. ნივთის შეძენა მიმწოდებლის ვებგვერდის მეშვეობით

3.1. მიმწოდებელი მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა კატეგორიის ტექნიკასა და აქსესუარებს. ნივთის რეკლამისა და გაყიდვის მიზნით, მიმწოდებელი ვებგვერდის მეშვეობით ახორციელებს მომხმარებლისთვის პროდუქციის შეთავაზებას, რომლის შეძენაც შესაძლებელია, როგორც უნაღდო ანგარიშსწორებით ნივთის მთლიანი საფასურის გადახდის შემთხვევაში, ასევე განვადებით ნასყიდობითაც.

3.2. ნივთის შეძენა შესაძლებელია მიმწოდებლის ვებ-გვერდზე: [www.On-Shop.ge](http://www.On-Shop.ge) \_ზე ნივთის შეძენისას, სავალდებულოა მომხმარებელი საკუთარი სახელითა და ანგარიშით ახორციელებდეს, როგორც უნაღდო ანგარიშსწორებას, ასევე ნაღდ გადახდასაც. ხოლო განვადებით ნასყიდობის შემთხვევაში, მხოლოდ მომხმარებლის სახელზე ფორმდება განვადება.

3.2.1. ნივთის შეძენა განვადების დროს მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა განაცხადის გაკეთება ონლაინ რეჟიმში ჩვენს არსებულ ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.On-Shop.ge](http://www.On-Shop.ge) \_ზე ან განახორციელოს ან მოითხოვოს უკუკავშირი ჩვენი მხრიდან და სატელეფონო რეჟიმში მოხდეს განვადების გაფორმება მაღაზის ოფიციალურ თანამშრომლის მიერ.

განვადების გაფორმება შესაძლებელია როგორც თავად პიროვნებაზე ასევე მის ოჯახის წევრზე / მეგობარზე / ახლობელზე ძმა/და დედა თუ მამაზე.

ხოლო ასეთი შემთხვევების დროს აუცილებელია იმ მომხმარებლის რეგისტრაცია საიტზე თავად მომხმარებლის მხრიდან გაიაროს რეგისტრაცია იმ პიროვნებამ რომელზეც ხდება განვადების შევსება და შემდგომ მოახდინონ შეკვეთის გაფორმება და შეკვეთის დასრულება განვადებით..

მაღაზის ოფიციალური წარმომადგენელი, (მენეჯერი/ გაყიდვების მენეჯერი /

ოპერატორი/ კონსულტანტი) იტოვებს უფლებას რომ მომხმარებლის თანხმობის შემთხვევაში განახორციელოს რეგისტრაცია თავად მომხმარებლის სახელით.

3.3. საიტის მეშვეობით, განვადებით ნასყიდობისას, თავდაპირველად მომხმარებლის ინფორმაცია მოწმდება მიმწოდებლის მიერ, ხოლო შემდეგ გადაეცემა ბანკს დასამტკიცებლად.

3.4. ნივთის ვებგვერდით შეძენის შემთხვევაში, მომხმარებლის მითითებით, შესაძლებელია პროდუქტის ადგილზე მიწოდება და ხელშერულების ადგილზე გაფორმება. თუ მიტანის სერვისი და/ან პროდუქცია არ არის ხელმისაწვდომი, მიმწოდებელი ამის შესახებ აცნობებს მომხმარებელს პირად პორტალში ან, SMS-ით ან სატელეფონო ზარით, ვებგვერდზე რეგისტრაციის ან შეკვეთის განხორციელების დროს, მომხმარებლის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე. ნივთის მიწოდების შემდეგ, მხარეები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს, იმ შემთხვევაში თუ მიწოდებული ნივთი ექვემდებარება საგარანტიო მომსახურებას მიმწოდებელი გადასცემს მომხმარებელს ნივთის საგარანტიო ფურცელს.

3.5. ნივთის მიწოდების მომსახურების ღირებულებას მაღაზია განსაზღვრავს ინდივიდუალურად, რაც დამოკიდებულია ნივთის მიწოდების ადგილსა და წონაზე.

3.6. ნივთის ელექტრონული შეძენა შესაძლებელია 24 საათის განმავლობაში. ნივთის მიწოდებასთან დაკავშირებით, მხარეები თანხმდებიან მიწოდების კონკრეტულ ვადასა და დროზე. ვებგვერდზე გამოცხადებული ფასი არ მოიცავს მიწოდების ფასს.

3.7. დანიშნულების ადგილზე ნივთის დაგვიანებით მიტანის შემთხვევაში მიმწოდებელი არ აუქმებს შეკვეთას და არ ანაზღაურებს მიტანის საფასურს.

3.8. მომხმარებელი გაფრთხილებულია, რომ არასრული ავტორიაზაციის, არასრული საკონტაქტო ინფორმაციის, არაზუსტი მისამართის და მოწოდების ინტრუქციების არსებობის შემთხვევაში, პროდუქციის მიწოდების შეფერხებაზე/შეუსრულებლობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელს. განმეორებით ვიზიტის ან სხვა მისამართზე მიწოდების შემთხვევაში, მომხმარებელი დამატებით იხდის მიწოდების საფასურს.

3.9. ადგილზე მიწოდების შემდეგ, მომხმარებელი უზრუნველყოფს სათანადო პირობებს ნივთის ინსტალაციის ან ჩაბარებისათვის. მიმწოდებელი პასუხს არ აგებს იმ დაზიანებაზე, ღირებულებასა ან ხარჯზე, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას მიუვალ ადგილზე, ან არასათანადო პირობების შედეგად.

3.10. ნივთის გადაცემა მოხდება მხოლოდ იმ მომხმარებელზე, რომელმაც გააკეთა განაცხადი ან მის მიერ მითითებულ პირზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში

მომხმარებელი ვალდებულია ზუსტი ინფორმაცია მიაწოდოს მიმწოდებელს ნივთის ჩამხარებელი პირის შესახებ (სახელი, გვარი და პირადი ნომერი) წინააღმდეგ შეთხვევაში ხელშეკრულება მხარეებს შორის არ გაფორმდება. ნივთის ჩაბარების მომენტში აუცილებელია თან იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

3.11. ვებგვერდიდან ნივთის შეძენის ან განვადებით ნასყიდობის თაობაზე განაცხადის გაკეთებიდან, ნივთის გატანამდე შესაძლებელია გაუქმდეს შეკვეთა და არ წარმოიშვას მომხმარებლის მხრიდან გადახდის საფასურის ვალდებულება, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან ნივთის გადაცემის ვალდებულება.

#### 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. მომხმარებელი, ვებგვერდზე რეგისტრაციით ადასტურებს, რომ მის მიერ რეგისტრაციის დროს წარდგენილი ინფორმაცია არის უტყუარი, ზუსტი და იურიდიული ძალის მქონე, შემდგომში მოწოდებული ინფორმაცია ასევე იქნება უტყუარი. თუ მომხმარებლის მიერ მითითებული ნებისმიერი ინფორმაცია, მათ შორის საკონტაქტო მონაცემები იცვლება, მომხმარებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს კომპანიას ამის შესახებ და მიაწოდოს შეცვლილი მონაცემები. წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული საკონტაქტო მონაცემების მიხედვით გაგზავნილი ინფორმაცია მიღებულად ჩაითვლება.

4.2. მიმწოდებელი იყენებს მომხმარებლის საკონტაქტო მონაცემებს მისთვის ოფიციალური შეტყობინებების ჩაბარების მიზნით, ამდენად, მომხმარებლის მიერ ელ.ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინებების არ გაცნობა მიმწოდებლის მიერ არ მიიჩნევა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველად.

4.3. დაუშვებელია ვებგვერდზე არასრულწლოვანი პირის რეგისტრაცია. თუ არასრულწლოვანი პირი ასაკის გაყალბებით შეიძენს ნივთს, ნივთის მისაღებად მან უნდა წარმოადგინოს მშობელი ან მეურვე. ან განაცხადონ თანხმობა მასე პასუხისმგებელმა პირმა.

დაუშვებელია შეზღუდულ ქმედუნარიანი პირის, ან მხარდაჭერის საჭიროების მქონე პირის რეგისტრაცია საიტზე, თუ ნივთის შეძენა მხარდაჭერის არაკეთილსინდისიერი ქმედებით ხორციელდება.

4.4. ვებგვერდზე რეგისტრაციის შემდეგ, რეგისტრირებული მომხმარებელი აგებს პასუხს მომხმარებლისა და პაროლის გაუმჯღავნებლობაზე. მიმწოდებელი იხსნის პასუხისმგებლობას იმ შედეგებზე, რაც პირადი პორტალის მესამე პირის მიერ

გამოყენების შედეგად შეიძლება დადგეს.

### დამატებითი პირობები

5.1. წინამდებარე წესები ძალაშია თითოეული მომხმარებლისთვის მისი რეგისტრაციიდან/ავტორიზაციიდან მიმწოდებლის ლიკვიდაციამდე.

5.2. მომხმარებელი რეგისტრაციიდან/და ავტორიზაციით ადასტურებს, რომ ის გაეცნო მომსახურების პირობებს, შენიშვნა ამპირობების მიმართ არაქვს, ეთანხმება მას და ადასტურებს, რომ დაიცავს განუხრელად ამ პირობებს.

5.3. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. ნებისმიერი უთანხმოება თავდაპირველად წყდება ურთიერთ მოლაპარაკების გზით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს საქართველოს სასამართლო.

5.4. წინამდებარე რეგულაციები შედგენილია ქართულ ენაზე.

5.5. წინამდებარე რეგულაციები ამოქმედდეს მისი გამოქვეყნებისთანავე.

პატივისცემით,

შპს „გიბლექ“-ის ადმინისტრაცია.

